

№ _____
01-2904

_____ 20
29.04.2022

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას
მაუწყებლის შპს „სტარვიზიის“ (ს/კ 245584611)
მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას 16 მე-12 სართული

2021 წლის საქმიანობის ანგარიში

შპს „სტარვიზია“-მ (ს/კ 245584611) კერძო მაუწყებლობის ლიცენზია მიიღო 2013 წლის 19 დეკემბერს, ხოლო ავტორიზაცია 2013 წლის 04 ნოემბრიდან.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის თანახმად წარმოგიდგენთ 2021 წლის ანგარიშს: საქართველოს კანონმდებლობის, სალიცენზიო პირობებისა და ქცევის კოდექსის მოთხოვნათა შესრულებისა და დაფინანსების წყაროების შესახებ:

- ლიცენზიის მიღებიდან შპს „სტარვიზია“, როგორც მაუწყებელი ფლობს და განკარგავს NB151 ლიცენზიას და ავტორიზაციას N BR-1111, ასევე NB11 (რადიო მაუწყებლობა) ლიცენზიას საქართველოს კანონმდებლობისა და სალიცენზიო პირობების დაცვით;
- მაუწყებელი (შპს „სტარვიზია“) საქმიანობის წარმართვისას იცავს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ დადგენილ „მაუწყებლობის ქცევის კოდექს“;
- შპს „სტარვიზიის“ როგორც მაუწყებლის დაფინანსების წყაროა: კერძო საქმიანობით (სამაუწყებლო და სარეკლამო საქმიანობით) მიღებული პირადი შემოსავლები და დამფუძნებელი პარტნიორის საწესდებო კაპიტალში შენატანი.

წინამდებარე ანგარიშს დაერთვის კერძო აუდიტის ფინანსური დასკვნა 22(ოცდაორი) ფურცლად.

შენიშვნა: წინამდებარე შპს სტარვიზიის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში გამოქვეყნებულია მაუწყებლის ინტერნეტ ვებ საიტზე <http://stargroup.ge/>.

შპს „სტარვიზიის“ დირექტორი _____
გია ალიხანაშვილი



შპს „სტარვიზიას“

დასკვნა

შპს „სტარვიზიას“ 2021 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 1 იანვრამდე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი

ქ.თბილისი

27 აპრილი 2022 წელი

ინდივიდუალური აუდიტორი
ლევან ზაკურაძე SARAS-A-117605

ზოგადი ნაწილი

ინდივიდუალური აუდიტორის-ლევან ბაკურაძის მიერ ჩატარებულ იქნა შპს „სტარვიზიას“ 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

ორგანიზაციის საქმიანობას წარმოადგენს - ფიზიკური და იურიდიული პირების მომსახურება

წინამდებარე ანგარიში კონფიდენციალურია და მისი წარდგენა უცხო პირთათვის დაუშვებელია.

ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვისა და საგადასახადო ანგარიშგების აუდიტი. აუდიტის დროს შემოწმებულ იქნა 2021 წლის მანძილზე გადასახადების დარიცხვისა და დეკლარირების სისწორე, აგრეთვე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების შესაბამისობა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან. ზოგადად, როგორც ბუღალტრული აღრიცხვის საერთო დონე, ასევე მასში არსებული შიდა კონტროლის ხარისხი უნდა შეფასდეს როგორც კარგი.

ორგანიზაცია 2021 წელს ბუღალტრულ აღრიცხვას ახორციელებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, დარიცხვის მეთოდის გამოყენებით. კომპანიაში ბუღალტრული ოპერაციების წარმოება ხდება საბუღალტრო პროგრამა „Superfin“-ის მეშვეობით.

აუდიტის პროცესში ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი 2021 წლის ბუღალტრული საბუთები შემოწმებულ იქნა შერჩევის პრინციპის გამოყენებით. შერჩევის პრინციპი, თავისი არსიდან გამომდინარე არ გამოირიცხავს იმის ალბათობას, რომ რაიმე შეცდომა აღმოუჩენელი დარჩება აუდიტის ჩატარების დროს, მაგარამ მინიმუმამდე ამცირებს ამის რისკს.

აუდიტისთვის წარმოდგენილი სააღრიცხვო დოკუმენტების და საანგარიშგებო მონაცემების სისრულესა და სინამდვილისათვის პასუხისმგებლობა აკისრია დაშვების ხელმძღვანელობას. ჩვენს პასუხისმგებლობას წარმოადგენს ის, რომ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვხატეთ ჩვენი პოზიცია ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამისობაზე მოქმედ კანონმდებლობასთან და საგადასახადო ანგარიშგებაზე.

ინდივიდუალური აუდიტორი
ლევან ბაკურაძე SARAS-A-117605

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მოწოდებულ ფინანსურ ინფორმაციაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ინფორმაციის მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე. ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ანგარიშგებების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია დაიცვას ეთიკის ნორმები, წარმართოს აუდიტორული პროცედურები იმგვარად, რომ მოიპოვოს დასაბუთებული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოწოდებული ინფორმაცია არსებით უზუსტობებს და აუდიტის შედეგების საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ინფორმაციაზე.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს, აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი უტყუარი დასკვნის მომზადებისათვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას.

დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

წინამდებარე ანგარიში თავისი დანართებით, რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს, წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას და არ არის გამიზნული საჯარო განხილვისათვის.

მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე

საზოგადოების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია და მოწოდებული პირველადი დოკუმენტები საკმარის საფუძველს გავაძლევს გამოვთქვით ჩვენი მოსაზრება 2021 წლის საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების თაობაზე.

ჩვენი აზრით, შპს „სტარვიზია“ წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია არ შეიცავს უზუსტობებს, რომელიც ცალ-ცალკე ან ერთად აღებული, არსებითია. თანდართული ფინანსური ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს „სტარვიზია“ 2021 წელს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის წლიური ბრუნვის ინფორმაციას.

ინდივიდუალური აუდიტორი

ლევან ბაკურაძე



ინდივიდუალური აუდიტორი
ლევან ბაკურაძე SARAS-A-117605

შპს „სტარვიზია“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

2021

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 31 დეკემბერი 2021

შპს სტარვიზია

შპს „სტარვიზიას“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	6
1. ძირითადი საქმიანობა	6
2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი	6
3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა	6
3.1 უცხო ვალუტის ოპერაციები	6
3.2 ვალუტის გაცვლითი კურსი	7
3.3 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	7
3.4 ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება	7
3.5 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7
3.6 სასაქონლო-მატერიალური მარაგები	7
3.7 მოგების გადასახადი	8
3.8 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8
3.9 საწესდებო კაპიტალი	8
3.10 დივიდენდები	9
3.11 შემოსავალი	9
3.12 ხარჯები	9
3.13 დაკავშირებულ მხარეთა შორის ტრანზაქციები:	9
3.14 წინა პერიოდის შეცდომების გასწორება	10
4. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	10
5. მიწოდების და მომსახურების ხარჯები	10
6. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	11
7. რისკების მართვა	11
7.1 ლიკვიდურობის რისკი	11
7.2 სავალუტო რისკი	11
8. საწარმოს უწყვეტობის განხილვა	12
9. დაკავშირებულ მხარეთა შორის ტრანზაქციები:	12
10. სასამართლო დავები	12
11. ბალანსის შემდგომი მოვლენები	12

შპს „სტარვიზიას“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2021	2020
ამონაგები		255,486	237,697
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(42,104)	(116,198)
საერთო მოგება		213,382	121,499
სხვა შემოსავალი	6	18,442	107,206
კომერციული დანახარჯები	5	(1,709)	(1,771)
ადმინისტრაციული ხარჯები	4	(228,578)	(312,615)
სხვა ხარჯები		-	-
ფინანსური დანახარჯები		(9,337)	(14,872)
<u>შეკავშირებული საწარმოების მოგების წილი</u>			
მოგება დაზღვრამდე		(7,800)	(100,552)
მოგების გადასახადი			
წლის მოგება განგრძობითი საქმიანობიდან		(7,800)	(100,552)
საანგარიშგებო წლის ზარალი შეწყვეტილი საქმიანობიდან			
საანგარიშგებო წლის მოგება		(7,800)	(100,552)
სხვა სრული შემოსავალი:			
სულ საანგარიშგებო წლის სხვა სრული შემოსავალი		(7,800)	(100,552)



ბიზნესგეგმვა

დირექტორი

15 აპრილი 2022

თბილისი, საქართველო

შპს „სტარვიზიას“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენიშვნები	2021	2020	2019
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები		44,118	54,652	62,211
გუდვილი		-	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები		-	-	-
ინვესტიციები მკვეთრად საწარმოებში		149,138	22,173	23,495
გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები		-	-	-
		<u>193,256</u>	<u>76,825</u>	<u>85,706</u>
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები		11,908	11,908	11,760
სავაჭრო მოთხოვნები		41,744	55,739	166,240
სხვა მიმდინარე აქტივები		37,903	18,966	19,879
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	3,104	5,005	20,960
		<u>94,660</u>	<u>91,618</u>	<u>218,839</u>
სულ აქტივები		<u>287,916</u>	<u>168,443</u>	<u>304,545</u>
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
სათავო საწარმოს მესაკუთრებზე მისაკუთვნებელი				
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი		1,182,196	1,139,786	1,058,600
გაუნაწილებელი მოგება		8,500	8,500	8,500
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		(1,339,010)	(1,327,617)	(1,227,065)
		<u>(148,315)</u>	<u>(179,331)</u>	<u>(159,965)</u>
არამაკონტროლებელი წილი				
		<u>(148,315)</u>	<u>(179,331)</u>	<u>(159,965)</u>
სულ საკუთარი კაპიტალი		<u>(148,315)</u>	<u>(179,331)</u>	<u>(159,965)</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები				
გადავადებული გადასახადი				
გრძელვადიანი ანარიცხები				
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		<u>-</u>	<u>-</u>	<u>-</u>
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		273,740	91,086	459,531
მოკლევადიანი სესხები		-	-	-
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე წილი		-	-	-
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები		34,090	28,218	4,979
მოკლევადიანი ანარიცხები		128,400	228,469	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		<u>436,230</u>	<u>347,774</u>	<u>464,510</u>
სულ ვალდებულებები		<u>436,230</u>	<u>347,774</u>	<u>464,510</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		<u>287,916</u>	<u>168,443</u>	<u>304,545</u>

დირექტორი

15 აპრილი 2022

თბილისი, საქართველო

ბიზნეს-ანგარიში



შპს „სტარვიზიას“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	308,978	409,283
მომწოდებლებსა და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(255,485)	(434,992)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	53,492	(25,710)
გადახდილი პროცენტები		
გადახდილი გადასახადი	(50,750)	(66,021)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2,742	(91,730)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
შეიღობილი საწარმო X-ის შეძენა მისი ფულადი სახსრების გამოყენებით		
მორიგადი საშუალებების შეძენა	(4,508)	
მანქანა-დანადგარების გაყიდვიდან მიღებული თანხები		
მიღებული პროცენტები		
მიღებული დივიდენდები		
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(4,508)	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
კაპიტალის შევსება	-	81,186
კაპიტალის გატანა	-	-
შემოსულობანი გრძელვადიანი სესხებიდან	-	-
გადახდილი სესხი	-	-
გადახდილი დივიდენდები1(ა)	-	-
საკუროს მოგება/ზარალი	(134)	(5,411)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(134)	75,775
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	(1,900)	(15,955)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	5,005	20,960
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	3,104	5,005

დირექტორი

15 აპრილი 2022

თბილისი, საქართველო



ბიკ ალექსანაშვილი

შპს „სტარვიზიას“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

	საწყისი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2019 წ. 31 დეკემბრ.	1,058,600	(1,218,565)	(159,965)	(159,965)
სააქციო კაპიტალის გამოშვება	81,186	-	-	81,186
დივიდენდები	-	-	-	-
სულ მოცემული წლის სრული შემოსავალი	-	(100,552)	-	(100,552)
გადატანა გაუნაწილებელ მოგებაში	-	-	-	-
ნაშთი 2020 წ. 31 დეკემბრ.	1,139,786	(1,319,117)	(159,965)	(179,331)
სააქციო კაპიტალის გამოშვება	42,410	-	-	42,410
დივიდენდები	-	-	-	-
სულ მოცემული წლის სრული შემოსავალი	-	(7,800)	-	(7,800)
გადატანა გაუნაწილებელ მოგებაში	-	(3,594)	-	(3,594)
ნაშთი 2021 წ. 31 დეკემბრ.	1,182,196	(1,330,511)	(159,965)	(148,315)



ბიკ ალიხანაშვილი

დირექტორი

15 აპრილი 2022
თბილისი, საქართველო

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

. კომპანიის საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს ტელემაუწყებლობის საქმიანობა, სატელევიზო სფეროში.

2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ორგანიზაციას თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია, როგორც მოქმედი საწარმო, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტი გაითვალისწინებს კომპანიის ფინანსური მდგომარეობას, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგების, ოპერაციების მომგებიანობას და ფინანსურ რესურსებზე წვდომას და ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენის ანალიზს კომპანიის ოპერაციებზე.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3.1 უცხო ვალუტის ოპერაციები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სეზონის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით.

შპს „სტარვიზიას“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

3.2 ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ლარი/1 აშშ დოლარი	3.0976	3.2766
ლარი/1 ევრო	3.5040	4.0233

3.3 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში.

3.4 ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

3.5 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მოთხოვნები ასახულია რეალური ღირებულებით.

კომპანიის მენეჯმენტი ახორციელებს პერიოდის ბოლოს არსებული ვალდებულებების ანალიზს და მის დარეზერვებას.

3.6 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. კომპანიის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებითი ნაწილი წარმოადგენს სწრაფბრუნვად მარაგებს.

3.7 მოგების გადასახადი

საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანია გარდა ფინანსური ინსტიტუტისა (როგორც არის ბანკი, სადაზღვევო კომპანია, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, ლომბარდი) ვალდებული არ არის გადაიხადოს მოგების გადასახადი სანამ არ მოხდება ან დივიდენდის გზით მოგების განაწილება ან განაწილებად მიჩნევა.

დივიდენდის განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება და იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ ნორმას.

აგრეთვე შედავათიანი დაბეგვრის მქონე იურისდიქციის ქვეყნებში რეგისტრირებულ საწარმოებზე გადახდილი ავანსები, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები იბეგრება გადახდის წყაროსთან.

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება საანგარიშო წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას.

მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა გამოითვლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების განაკვეთი არის 15%, რომლის გადახდაც ხდება ხაზინის ერთიან ანგარიშზე და რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისათვის.

საქართველოში მოქმედი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, არ არსებობს განსხვავება საქართველოში რეგისტრირებული და მოქმედი კომპანიების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ბაზებს შორის, შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 „მოგებიდან გადასახადები“ 2017 წლის 1 იანვრიდან არ წარმოიქმნება.

3.8 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

3.9 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელის მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის

მფლობელის მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

3.10 დივიდენდები

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

3.11 შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობის და სხვა მსგავსი შედავათების საფუძველზე. პერიოდის წმინდა შემოსავალი აღიარებულია პერიოდის შემოსავალი შემცირებული თვითღირებულების დანახარჯებით, ფასდათმობით და პირდაპირი ხელფასებით.

3.12 ხარჯები

საწარმო ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ.

3.13 დაკავშირებულ მხარეთა შორის ტრანზაქციები:

მსს ფასს სტანდარტის 33-ე განყოფილება „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე, ან თუ მხარეები ერთი და იმავე ჯგუფის შვილობილი კომპანიებია. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორცაა არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით როგორცაა დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება ხორციელდება გაშლილი ხელის პრინციპით.

შპს „სტარვიზიას“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

3.14 წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

საწარმო შესაძლებლობის ფარგლებში, რეტროსპექტულად შეასწორებს წინა საანგარიშგებო პერიოდის არსებითი შეცდომებს მისი გამოვლენის შემდეგ გამოსაცემად დამტკიცებულ პირველივე ფინანსურ ანგარიშგებაში,

4. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

2021 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავდა:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2021
პირდაპირი ხელფასი	15,348
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	1,794
შრომის ანაზღაურება	157,396
სოციალური დანარიცხები	2,032
საგრიმინო ხარჯი	81
კომუნიკაციის ხარჯები	31,167
სასტუმრო მომსახურება	4,678
აუდიტორიული ხარჯი	700
საკანცელარიო ხარჯი	50
კომპიუტერის ხარჯები	62
ცვეთა და ამორტიზაცია	11,023
1000 ლარამდე ძირითადი საშუალებების ცვეთა	6
ბანკის საკომისიო	631
საიტის მომსახურების ხარჯი	12
IT მომსახურების ხარჯი	3,600
სულ	228,578

5. მიწოდების და მომსახურების ხარჯები

2021 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის მიწოდების და მომსახურების ხარჯები მოიცავდა:

მიწოდების და მომსახურების ხარჯები	2021 ლარი
რეკლამის ხარჯები	1709
სულ	1770

შპს „სტარვიზიას“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

6. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

2020 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები მოიცავდა:

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	2021 ლარი	2020 ლარი
ფული სალაროში	3	2
ფული ბანკში	2868	5003
სულ	3 107	5 005

7. რისკების მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

7.1 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიის დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს და ატარებს ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს რომელიც მას სჭირდება იმ რწმუნებისთვის, რომ მას გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

7.2 სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობება ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. 2020-2021 წლებში დოლარის და ევროს გაცვლითი კურსის გამყარებამ კომპანიაში წარმოქმნა ფინანსური ზარალი საკურსო სხვაობიდან ვინაიდან კომპანიის მარაგების არსებითი ნაწილი შეძენილია უცხოურ ვალუტაში და პერიოდის ბოლოს კომპანიის ვალდებულებების არსებითი ნაწილი მოიცავს უცხოურ ვალუტაში წარმოქმნილ ვალდებულებებს.

შპს „სტარვიზიას“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

მენეჯმენტის პოზიციით იმპორტ რეექსპორტის ოპერაციები ამცირებს სავალუტო სხვაობით წარმოქმნილი ზარალის გავლენის არსებითობას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სავალუტო რისკი წარმოიშობება ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. 2020-2021 წლებში დოლარის და ევროს გაცვლითი კურსის გამყარებამ კომპანიაში წარმოქმნა ფინანსური ზარალი საკურსო სხვაობიდან ვინაიდან კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილია წარმოდგენილი უცხოურ ვალუტაში, მათი გადაფასების ეფექტი მოგება-ზარალზე არის მნიშვნელოვანი.

8. საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტს განზრახული არ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები, მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ საწარმოს უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

9. დაკავშირებულ მხარეთა შორის ტრანზაქციები:

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან არანაირი ოპერაციები არ ჰქონია.

10. სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში საწარმოს მიმართ ხორციელდება სამართლებრივი ქმედებები, დავები და საჩივრები. ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, კომპანიას მიმდინარე პერიოდში სასამართლო დავა არა აქვს.

11. ბალანსის შემდგომი მოვლენები

2019 წლის ბოლოს მწვავე რესპირატორული სინდრომის კორონავირუსის ინფექციური დაავადების (COVID-19) გამოჩენამ და მისმა სწრაფმა გავრცელებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ბიზნეს გარემოზე მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც.

შპს „სტარვიზიას“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

მენეჯმენტის პოზიციით იმპორტ რეექსპორტის ოპერაციები ამცირებს სავალუტო სხვაობით წარმოქმნილი ზარალის გავლენის არსებითობას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სავალუტო რისკი წარმოიშვება ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. 2020-2021 წლებში დოლარის და ევროს გაცვლითი კურსის გამყარებამ კომპანიაში წარმოქმნა ფინანსური ზარალი საკუროსო სხვაობიდან ვინაიდან კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილია წარმოდგენილი უცხოურ ვალუტაში, მათი გადაფასების ეფექტი მოგება-ზარალზე არის მნიშვნელოვანი.

8. საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტს განზრახული არ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები, მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ საწარმოს უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

9. დაკავშირებულ მხარეთა შორის ტრანზაქციები:

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან არანაირი ოპერაციები არ ჰქონია.

10. სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში საწარმოს მიმართ ხორციელდება სამართლებრივი ქმედებები, დავები და საჩივრები. ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, კომპანიას მიმდინარე პერიოდში სასამართლო დავა არა აქვს.

11. ბალანსის შემდგომი მოვლენები

2019 წლის ბოლოს მწვავე რესპირატორული სინდრომის კორონავირუსის ინფექციური დაავადების (COVID-19) გამოჩენამ და მისმა სწრაფმა გავრცელებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ბიზნეს გარემოზე მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც.



ა ნ ბ ა რ ი შ ი
შპს „სტარვიზია“
2021 წლის აუდიტის შესახებ

ზოგადი ასპექტები

სამართლებრივი ფორმა - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახელწოდება - შპს „სტარვიზია“

იურიდიული მისამართი - ვაჟა-ფშაველას N16 მეტორმეტე სართული
საიდენტიფიკაციო კოდი - 245584611

საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

საზოგადოების მიზანს წარმოადგენს ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის მომსახურების გაწევა.

შიდა კონტროლის სისტემა

შიდა კონტროლის სისტემა წარმოადგენს კონტროლის გარემოს და კონტროლის პროცედურების ერთობლიობას. შიდა კონტროლის სისტემა მოიცავს ყველა პოლიტიკასა და პროცედურას, რომელიც დადგენილია საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ, შესაძლებლობის ფარგლებში, ბიზნესის მოწესრიგებული და ეფექტური წარმართვის მიზნების მისაღწევად, თაღლითობისა და შეცდომების თავიდან ასაცილებლად და გამოსავლენად, ბუღალტრული ჩანაწერების სიზუსტისა და სისრულის უზრუნველსაყოფად და საიმედო ფინანსური ინფორმაციის დროულად მოსამზადებლად.

❖ შენიშვნა 1: ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების თანახმად ასახულია ნომინალური ღირებულებით. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრების არსებობის შემთხვევაში გადაანგარიშებული უნდა იქნეს შედგენის თარიღისათვის არსებული ოფიციალური გასაცვლელი კურსით.

პოზიციის დასახელება	2021 წლის 1 იანვარი	2020 წლის 1 იანვარი
ეროვნული ვალუტა სალაროში	2	2
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	3 104	5003

ორგანიზაცია საქმიანობის დაწყებიდან ხელფასს გასცემდა ბანკიდან, ხოლო მომწოდებლებთან და დამკვეთებთან ანგარიშსწორება განხორციელებულია უნაღდო ანგარიშსწორებით.

აუდიტის პროცესში მოვიპოვეთ კომპანიის საბანკო ამონაწერი შესამოწმებელი პერიოდის საწყისი და საბოლოო ნაშთების სისწორის დასადასტურებლად. შემოწმების შედეგად განსხვავება არ გამოვლენილა.

შენიშვნა 2. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე სასაქონლო მატერიალური ფასეულობები მცირე რაოდენობისა და არსებით გავლენას არ ახდენს კომპანიის 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. კომპანიის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებითი ნაწილი წარმოადგენს სწრაფბრუნვად მარაგებს.

❖ შენიშვნა 3. საშემოსავლო გადასახადი

ორგანიზაცია შესამოწმებელ პერიოდში ხელფასს გასცემდა უნაღდო ანგარიშსწორებით ბანკიდან, აუდიტის პროცესში საშემოსავლო გადასახადის გამოანგარიშებისას სხვაობა არ გამოვლენილა.

❖ შენიშვნა 4. დამატებული ღირებულების გადასახადი

აუდიტის პროცესში დღგ-ს გადასახადის გამოანგარიშებისას სხვაობა არ გამოვლენილა.

❖ შენიშვნა 5. ქონების გადასახადი

საზოგადოებას 2021 წლის ქონების გადასახადის გამოანგარიშებისას სხვაობა არ გამოვლენილა.

❖ შენიშვნა 6. მოგების გადასახადი

საზოგადოება 2021 წლის გადასახადის გამოანგარიშებისას სხვაობა არ გამოვლენილა. საქართველოში მოქმედი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, არ არსებობს განსხვავება საქართველოში რეგისტრირებული და მოქმედი კომპანიების აქტივებისა და

ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ბაზებს შორის, შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 „მოგებიდან გადასახადები“ 2017 წლის 1 იანვრიდან არ წარმოიქმნება.

❖ შენიშვნა 7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები კომპანიის მიერ ასახულ უნდა იქნეს თვითღირებულებით, ხოლო ცვეთის დარიცხვა უნდა განხორციელდეს ორგანიზაციის მიერ შერჩეული ცვეთის დარიცხვის პოლიტიკის შესაბამისად.

საქმიანობის პერიოდში შეძენილი ძირითადი საშუალებები ბუღალტრულ ჩანაწერებში ასახულია IAS 16 მოთხოვნათა დაცვით. ბასს 16 სტანდარტის თანახმად სამეურნეო ერთეულს მოეთხოვება რეალური ღირებულებით ასახოს ძირითადი საშუალება, რომელიც მიღებულ იქნა ფულადი ან არაფულადი აქტივების კომბინაციის შედეგად. ძირითადი საშუალებებზე მოხდენილია ცვეთის მეთოდის განსაზღვრა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი ბასს 36-ის და ბასს 16-ის მოთხოვნების თანახმად ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც იმსჯელოს აქტივების რეალური ღირებულების, მისი გაუფასურების და გადაფასების აუცილებლობის შესახებ.

❖ შენიშვნა 8. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

კომპანიას გააჩნია მოკლევადიანი ვალდებულებები მომწოდებელთა მიმართ. კომპანია კრედიტორულ დავალიანებას ასახავს დარიცხვის მეთოდის მიხედვით, მომსახურების გაწევის ან მიღების შესაბამის მომენტში.

❖ შენიშვნა 9. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებას კომპანიის წესდებაში (მათ შორის ცვლილებას საწესდებო კაპიტალში, მფოლბელებში და ა.შ.) ხორციელდება კომპანიის პარტნიორის მიერ.

აკუმულირებული მოგება-ზარალი მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

ჩვენს მიერ შემოწმდა კომპანიის საკუთარი კაპიტალის მოძრაობა და მისი აღრიცხვის შესაბამისობა მსს ფასს-ით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. შემოწმების პროცესში ჩვენს მიერ

არ ყოფილა გამოვლენილი არსებითი ფაქტები, რომლებიც დაადასტურებდნენ კაპიტალის ცვლილებების აღრიცხვის შეუსაბამობას მსს ფასს-ის მოთხოვნებთან.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მოვიპოვეთ საფუძვლიანი რწმუნებულებები, რომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მთლიანობაში არ შიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, იგი არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში.

❖ შენიშვნა 10. შემოსავლები

კომპანიას გააჩნია შემოსავლები, შემოწმების დროს ჩვენს მიერ არ ყოფილა გამოვლენილი არსებითი ფაქტები, რომლებიც დაადასტურებდნენ კომპანიის მოგება-ზარალის (ფინანსური შედეგი) ანგარიშგების შეუსაბამობას მსს ფასს-ის მოთხოვნებთან. კერძოდ:

ჩატარებული აუდიტით დადგინდა, რომ კომპანიის მიერ წარმოდგენილი მოგება-ზარალის ანგარიშგების (ფინანსური შედეგი) ზემოაღნიშნული მონაცემები შესაბამისობაშია კომპანიის სააღრიცხვო მონაცემებთან და შეიცავს ყველა იმ მუხლს, რაც დადგენილია მსს ფასს-ის 5.5 და 6.5 პუნქტებით.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მოვიპოვეთ საფუძვლიანი რწმუნებულებები, რომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მთლიანობაში არ შიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, იგი არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში.

❖ შენიშვნა 11. ხარჯები

საწარმო ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ.

ლევან ბაკურაძე

